ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1126263

ნომერი: AR1196505

თარიღი : 13.02.2014

გაცემის თარიღი : 14.02.2014

გაცნობის თარიღი : 17.02.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, (ნაკვეთი N1/97) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ბერელაშვილი პ/ნ 01030006691
- თბილისი კ.ხეთაგუროვის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 02/13/2014წ. #AR1196505 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 17.01.2007წ. #20/33 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, დამკვეთად, ნაცვლად შპს "იბერია უძრავი ქონებისა", თამარ ბერელაშვილის დაფიქსირებას.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 17.01.2007წ. #20/33 ბრძანებით ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, შპს „იბერია უძრავი ქონების“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა #7 საცხოვრებელი სახლის პროექტი. არქიტექტურის სამსახურის არქივში დაცული ინფორმაციით, აღნშნულ ობიექტზე სამსახურის მიერ არ განხორციელებულა მშენებლობის ნებართვის გაცემა.

გაცნობებთ, რომ დამკვეთის ცნება განმარტებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტში, რომლის თანახმად, „დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.“ ვინაიდან, 17.01.2007წ. #20/33 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე სამსახურის მიერ არ გაცემულა მშენებლობის ნებართვა და ამასთან, პროექტის შეთანხმების სტადიაზე ნებართვის გამცემი ორგანო არ იკვლევს სამშენებლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას (მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე დამკვეთს წარმოადგენს განმცხადებელი), სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით, ცვლილება შეიტანოს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამკვეთად შესაძლებელია დაფიქსირდეს მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი.
